პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 100 (4094)

1970 წ. 24 მაისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „მზეჭაბუკი“



ბევრი შესანიშნავი გადმოცემა, თქმულება თუ ლეგენდა შეუქმნია ქართველ ხალხს. ამ გადმოცემებში ცოცხლობენ უდრეკი ნებისყოფის, გამჭრიახი გონებისა და ამაყი სულის ადამიანები. ერთ-ერთ ასეთ საოცნებო გმირად დახატა ქართველმა ხალხმა მზეჭაბუკი. „მზეჭაბუკი“ დაარქვა ავტორმა ქანდაკებას, რომელიც ახლახან აღიმართა ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს მოედანთან და საოცრად მოუხდა სპორტის სასახლეს.

კეთილშობილურია ავტორის ჩანაფიქრი. „მზეჭაბუკის“ ქანდაკება მას ქართველი ოლიმპიელებისთვის მიუძღვნია. სულ თვრამეტიოდე წელია, რაც ქართული სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩვენი სახელგანთქმული ათლეტები მონაწილეობენ მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდეს თავყრილობაში, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ უკვე დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერეს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში. ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელები — გივი კარტოზია, რობერტ შავლაყაძე, ნუგზარ ასათიანი, დავით ციმაკურიძე, ვიქტორ სანეევი, რომან რურუა და ბევრი სხვა დაამშვენებდნენ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სპორტს. მათ გვიჩვენეს ჭეშმარიტი სპორტული გმირობის მაგალითი და ამ ვაჟკაცობამ, რაინდულმა სულმა ხელოვნებაშიც ჰპოვა გამოხატულება...

კარგა ხნის მანძილზე ქანდაკება „მზეჭაბუკი“ მისი შემქმნელის ჯუნა მიქატაძის სახელოსნოში იდგა, მაგრამ მოქანდაკის სახელოსნოს კედლები გოლიათური აღნაგობის, მზისა და სიცოცხლისთვის დაბადებული „მზეჭაბუკისთვის“ ერთობ ვიწრო აღმოჩნდა. მხოლოდ სპორტის სასახლის წინ, ხალხმრავალ მოედანზე ამაყად გაშალა მან მხრები და ათასობით ადამიანის თვალი გაახარა.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ადამიანს ამ ქანდაკების ნახვისას აღეძვრის, არის დახვეწილი პლასტიკურობა და ჰარმონიულობა. „მზეჭაბუკი“ — ქართველი ოლიმპიელის სიმბოლო, სრულყოფილად განასახიერებს ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების სიჩაუქეს, ვაჟკაცობასა და შემართებას. „მზეჭაბუკი“—ეს არის ჯანსაღი სხეულისა და ჯანსაღი სულის სიმღერა. მისი ყოველი ნაკვთი განუმეორებელი ეროვნული კოლორიტით არის შეფერილი. მოქანდაკეს არ დაუშურებია არც ოსტატობა, არც მონდომება და სიყვარული, რათა სრულყოფილად წარმოესახა სპორტული დიდებისთვის მებრძოლი და ღირსეულად დამაშვრალი ადამიანის სახე...

საოცარია ხელოვნების ყოველი ნიმუშის ბედი. ზოგი სამუდამოდ რჩება შემოქმედის სახელოსნოში, ზოგიც ადგილს პოულობს სამხატვრო მუზეუმებსა და გალერეებში. ზოგი კი სოფელ-ქვეყანაში გამოდის, სივრცესა და მზეს ეძებს. თუ ეს ასეა, „მზეჭაბუკი“ მართლაც რომ კარგ დროს გახდა თბილისის მკვიდრი: მაისი ხომ ჩვენში წლის უმშვენიერესი თვეა...

საოცარია ხელოვნების ნიმუშის ბედი. „მზეჭაბუკის“ ქანდაკებას სივრცე ესაჭიროებოდა და აკი იპოვა კიდეც! ეს სივრცე ფართოა და დაუსრულებელი, როგორც ჩვენი ეროვნული სპორტის ასპარეზი.

ა. გოგელია.

სურათზე: „მზეჭაბუკი“ (მოქანდაკე — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ჯ. მიქატაძე, არქიტექტორი — შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ალექსი-მესხიშვილი).

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ზრდის ციფრები

„განთიადის“ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრებს შორის მასობრივ ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლის საქმეში.

საზოგადოების წევრთა რიცხვი 1110 კაცით გაიზარდა და ხადღეისოდ 150 ათასს მიაღწია. საწარმოო ტანვარჯიში ამჟამად 388 საწარმოშია დანერგილი და 105.379 კაცი სისტემატურად მეცადინეობს.

მომზადდა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 44 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, 55 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 626 პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგების 24810 სპორტსმენი. დიდი წარმატებით შესრულდა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმაც.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში განიხილა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. პირველი ჯგუფის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გამარჯვება მიეკუთვნა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვებას“. II ადგილზეა ქუთაისის ავტოქარხნის სპორტკლუბი „კოლხიდა“, III — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბი „ფოლადი“.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავა თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონის“ სპორტკლუბმა „უზბამ“, II — თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ, III — ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

მესამე ჯგუფის კოლექტივებს შორის იმარჯვეს თბილისის სააპჯო კომბინატის ფიზკულტურელებმა. II ადგილზეა ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი, III — ფოთის ელექტრომექანიკური გამაძლიერებელი ქარხნის კოლექტივი.

საზოგადოების საოლქო და საქალაქო საბჭოებს შორის გამარჯვება მიეკუთვნა აჭარის საოლქო საბჭოს (თავმჯდომარე ვ. კვაჭაძე). II ადგილზე გავიდა დროშის წინა მფლობელი — ქუთაისის საქალაქო საბჭო (მ. ტურაბელიძე).

რაიონულ ორგანიზაციებს შორის I ადგილი დაიკავა კასპის რაისაბჭომ (ნ. ხმალაძე). II ადგილზეა ფოთის საბჭო (რ. სარუმოვი), III — გეგეჭკორის რაიონული საბჭო (ე. ხუნწარია).

ტ. კიკნაველიძე,
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

## სხვადო სტრიქონი

● მინსკი, 22 მაისი. ევროპის ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად მიაჩნიათ წყალში მხტომელთა აქ დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრება. 3-მეტრიან ტრამპლინზე ყველას აჯობა ჯ. კანიოტომ (იტალია). II ადგილზეა ვ. ვასინი (სსრ კავშირი), III — კ. დიბიასი (იტალია).

● პარიზი, 22 მაისი. საფრანგეთის ათჭიდელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა 19 წლის გ. დრიუტიმ — 7565 ქულა.

● მადრიდი, 22 მაისი. ესპანეთის მძლეოსანთა აქ გამართულ ასპარეზობაში ქალთა ეროვნული რეკორდი დაამყარა კ. ფუენტესმა, რომელმაც 1500 მ 4 წუთსა და 33,1 წამში გაირბინა.

## მეტრეველი — 6:0, 6:1, 6:4

მონტე-კარლო, 23 მაისი. გუშინ აქ დაიწყო მონაკოსა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა მატჩი დევისის თასზე. მოსკოველმა კოროტკოვმა დაამარცხა ტრუში (6:2, 6:0, 6:1), ხოლო თბილისელმა მეტრეველმა — ვატრიკანი (6:0, 6:1, 6:4).

ამრიგად, პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა ჩოგბურთელები — 2:0.

## რბოლამ საზღვარი გადაკვეთა

ოდერის ფრანკფურტი, 22 მაისი. პოლონეთის ქალაქ პოზნანის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები გულთბილად გამოეთხოვნენ მშვიდობის ტრადიციული, XXIII ველორბოლის მონაწილეებს, რომლებმაც დღეს X ეტაპის სტარტი აიღეს: მრბოლელებს მეგობრულად აცილებდნენ შეფებიც — პოზნანის საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები. მაგალითად, საბჭოთა სპორტსმენები მეტალურგიული ქარხანა „ცეგელსკის“ მუშებმა გააცილეს.

ველოსიპედისტებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი აიღეს. რბოლას ტონი მისცეს გდრ-ის მრბოლელებმა, რომლებიც ცდილობდნენ გამარჯვებას „მშობლიურ კედლებში“ — მათ სურდათ ოდერის ფრანკფურტში (და არა მაინის ფრანკფურტში, როგორც წინა ნომერში შეცდომით ვიუწყებოდით.—რედ.) პირველნი მისულიყვნენ. მაგრამ გერმანელთა ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა: მათგან საუკეთესომ — ა. პეშელმა მხოლოდ IX ადგილი დაიკავა. გამარჯვებული კი ბელგიელი ე. ვერსტრატენი აღმოჩნდა (4:45.47), რომელსაც საუცხოოდ ეხმარებოდა თანამემამულე ლ. ვან სტევენი (II ადგილი — 4:46.17). ბრინჯაოს მედალი იტალიელ ჯ. მაფის ერგო — 4:46.32.

ველორბოლის ლიდერმა, პოლონელმა რ. შურკოვსკიმ 182-კილომეტრიანი ეტაპი მეოთხემ დაამთავრა — 4:48.15. ფინიშთან მან ოდნავ გაასწრო მრბოლელთა დიდ ჯგუფს, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც იყვნენ.

10 ეტაპის შემდეგ პირველ სამ ადგილზე არიან — გუნდურ ჩათვლაში: პოლონეთი (135:12.27), ჩეხოსლოვაკია (135:28.27), სსრ კავშირი (135:31.33), პირადში — შურკოვსკი — 33:44.12 (იგი 57 ქულით ყველაზე აქტიური მრბოლელიცაა), მ. დიუშემენი (საფრანგეთი)—33:47.04, ზ. ხანუშჩიკი (პოლონეთი) — 33:48.45.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო—სოჭელი გ. საიდხუჟინი ზ. ხუატერთან (გდრ) ერთად VIII-IX ადგილებს იყოფს (33:50.59).

## „ვერნერ - ზეელენბინდერ - ჰალეში“

ბერლინი, 23 მაისი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ ევროპის ძიუდოისტებმა დღეს აქ დაიწყეს თავიანთი პირადი ჩემპიონატი სამ წონით კატეგორიაში. სარატოველი ვ. პოკატაევის (ქვემძიმე წონა) აქტივში უკვე ორი მოგებაა ქულებით — პარიჩთან (იუგოსლავია) და გიბლერთან (შვეიცარია). მოსკოველმა ე. სოლოდუხინმა სძლია მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს იუგსტერს (ჰოლანდია).

მძიმე წონაში მოსკოველმა ვ. კუზნეცოვმა დაამარცხა ოლივერა (პორტუგალია) და მიხოლა (ბულგარეთი). ბედმა უმუხთლა გ. ონაშვილს. ოტოსთან (გფრ) ჭიდილში მას ილეთის ჩატარებისას ფეხი დაუცდა, წაიქცა და ქულებით წააგო შეხვედრა.

საშუალო წონაში ა. ციუპაჩენკომ (მოსკოვი) მე-2 წუთზე დასცა სტარბრუკი (ინგლისი), მერე კი თვით დამარცხდა პოგლაიენთან (ჰოლანდია). კიეველი ა. ბონდარენკო უქეიფობის გამო გამოეთიშა შეჯიბრებას.

## ზღვა და ადამიანი

ჩილის აფრიანმა ნავმა „ესმერალდამ“ 124 საათში გაიარა 1600 კილომეტრი ტასმანიის ზღვაში. ეს ახალი რეკორდია საკრეისერო ნავებისთვის.

* * *

წყლის სტიქიას ორი დღის მანძილზე მარტომარტო ებრძოდა შვედი აფროსანი ააკე მეტსონი. როცა ბრაზილიის ნაპირებთან ოკეანის ძლიერი ღელვის დროს წაქცეული ანძის გასწორებას ცდილობდა, იგი ტალღამ ნავიდან გადააგდო. თავდაპირველად მეტსონმა სცადა ნავამდე მისულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტსმენი იახტაზე მიბმული არ იყო. ნავი ქარისა და ტალღების ნებას დაჰყვა და ნელ-ნელა მიეფარა თვალს. მეტსონს მაშველი კოსტუმი არ ეცვა, მაგრამ მაინც გაცურა ნაპირისკენ, რომელიც მისგან თითქმის 100 კილომეტრით იყო დაშორებული. ორ დღეს და ორ ღამეს მისცურავდა იგი თავის ძნელ გზაზე, მიმართულებას მზისა და ვარსკვლავების მიხედვით არკვევდა. ირგვლივ ზვიგენები ტრიალებდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, სპორტსმენზე თავდასხმა მათ არ უცდიათ. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, მამაცი ზღვაოსანი ბრაზილიელ მეთევზეებს რომ არ შეენიშნათ და არ გადაერჩინათ.

მეტსონს განზრახული ჰქონდა იახტით მისულიყო ტრინიდადამდე და ბერმუდის კუნძულებამდე, რათა შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას ატლანტის ოკეანე გადაელახა.

# დამაფიქრებელი სტარტები

უნივერსიადა II

საქართველოს სტუდენტთა თამაშები

„გუნდები შეჯიბრებისთვის მოუმზადებელი იყვნენ“. ეს ხტრიქონი მთავარმა მსაჯმა ჩაწერა მოცურავეთა პირველობის წერილობით ანგარიშში. გასაკვირი არაფერია. შეჯიბრებაში მონაწილე 6 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ერთმა — ბათუმელმა ნ. ზემლიანუხინმა მისცა ჩათვლა თავის გუნდს (ჩათვლაში I თანრიგისა და უფრო მაღალი შედეგები შედიოდა).

სტარტს სტარტი ცვლიდა, ჩასათვლელი ქულების გრაფა კი ბოლო დღემდე არ შევსებულა. თუმცა, განაცხადებში ყოველი მოცურავის გვარის გასწვრივ საკმაოდ მაღალი თანრიგები იყო აღნიშნული. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ყველა ეს ცნობა ყალბი იყო. პირიქით, სარბიელზე ვიხილეთ ბევრი სპორტსმენი, ვისაც სულ ახლო წარსულში რესპუბლიკის შედეგიან მოცურავეთა შორისაც ვასახელებდით. მაგრამ, როგორც ჩანს, უმაღლესი სასწავლებლები მოცურავეთა მომზადებისთვის ნაკლებად ზრუნავენ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერთადერთია, რომლის წარმომადგენლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ (მწვრთნელი ა. გეგელია).

ვერ ვიტყვით, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტს წვრთნის პირობები და საშუალებები არ გააჩნდეს, სპორტსმენებიც მას თითქოს ყველაზე ძლიერი უნდა ჰყავდეს, მაგრამ ამჯერად ამ სასწავლებლის წარმომადგენლები მხოლოდ ბოლოსწინა ადგილზე აღმოჩნდნენ. იქნებ ცურვის კათედრამ თავი იმართლოს: მოცურავე სტუდენტთა უმეტესობა „ბურევესტნიკის“ წევრი არ არისო? დაგეთანხმებით, მაგრამ ბურევესტნიკელები სადღა იყვნენ? ესტაფეტაში მონაწილე გოგონები ხომ სტარტზეც არ გამოცხადდნენ!

დასანანია, როცა ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში წმინდა სპორტულ ინტერესებს წარმატების როგორმე მოპოვების იმედი ჩრდილავს. ეს, რა თქმა უნდა, იმას ეხება, ვინც პირადი შედეგით გუნდს ვერაფერი შესძინა, და იმასაც, ვინც ესტაფეტებში უკონკურენციო ბრძოლაში მოპოვებული საპრიზო ადგილით მიიღო ჩათვლა. მაგალითად, თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის გუნდის ზოგიერთმა წევრმა ქალთა ესტაფეტაში მოზარდთა თანრიგიც კი ვერ შეასრულა. სრული გუნდი არც ერთ კოლექტივს გამოუყვანია, ამიტომაც 11 სახეობაში პროგრამით გათვალისწინებული სტარტები ვერ მოეწყო, ზოგჯერ კი გამარჯვებისთვის ერთი ან ორი მონაწილე იბრძოდა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილების ბედი ბოლო დღეს ესტაფეტებმა გაარკვია. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოცურავეებმა ჯერ ქალთა, შემდეგ კი ვაჟთა ესტაფეტა (4×100 მ თავისუფალი სტილით) მოიგეს და საერთო პირველობა გაინაღდეს — 48 ქულა.

II ადგილი 40 ქულით ბათუმის პედინსტიტუტს დარჩა. ეს წარმატება გუნდს მხოლოდ ზემლიანუხინმა მოუტანა, რომელმაც 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებისთვის 12-12, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის შესრულებისთვის დამატებით 8-8 ქულა დაიმსახურა.

III ადგილზეა უნივერსიტეტი — 40 ქულა (უპირატესობა ბათუმელებს პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგისთვის მიენიჭათ).

თ. ბაჩეჩილაძე.

15 სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა:

პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 1335 ქულა,
უნივერსიტეტი — 926,
ფიზკულტურის ინსტიტუტი — 831,
ქუთაისის პედინსტიტუტი — 362,
გორის პედინსტიტუტი — 316,
თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი — 272,
ბათუმის პედინსტიტუტი — 170,
სამედიცინო ინსტიტუტი — 78,
ცხინვალის პედინსტიტუტი — 74,
სოხუმის პედინსტიტუტი — 50,
თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი — 24.

## კიდევ 2 ქულა

მოსკოვი, 22 მაისი. დღეს ცსკა-ს დარბაზში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის V ტურის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ ცსკა-სთან პირველი ქულის მოპოვების შემდეგ თავის აქტივს კიდევ 2 ქულა შესძინა: დაამარცხა ზმეტი — 20:16.

ცხრილის სათავეში მყოფმა, ჯერ დაუმარცხებელმა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და კრასნოდარის „უნივერსიტეტთან“ გამარჯვებით (24:20) კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა. „კუნცევომ“ დაამარცხა ცსკა (23:16), „ალუმინსტროიმ“ კი „სტრაუმე“ (18:14).

23 მაისს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ, 24 და 25 მაისს კი გაიმართება 11 წრის დასკვნითი მატჩები.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკ.) | 12 | 11 | 1 | 0 | 261—212 | 23 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 12 | 9 | 2 | 1 | 218—180 | 20 |
| „უნივერსიტეტი (კრასნოდარი) | 12 | 6 | 1 | 5 | 221—224 | 13 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 12 | 5 | 1 | 6 | 213—209 | 11 |
| ცსკა | 12 | 3 | 3 | 6 | 211—235 | 9 |
| „სტრაუმე“ (რიგა) | 12 | 3 | 1 | 8 | 206—232 | 7 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) | 12 | 3 | 1 | 8 | 186—205 | 7 |
| ზმეტი (ზაპოროჟიე) | 12 | 2 | 2 | 8 | 188—207 | 6 |

## ტეტ და ორი „სპარტაკი“

ლენინგრადში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა XXXVII საკავშირო პირველობა. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საქვეყნოდ ცნობილმა კოლექტივმა — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა. ვერცხლის მედლები დაისაკუთრა ლენინგრადის „სპარტაკმა“, ბრინჯაოსი კი მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“.

ლენინგრადიდან ცუდი ამბავიც მოვიდა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა წლევანდელი შეჯიბრება უხეიროდ ჩაატარა და საგაისოდ უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობა. მისივე ბედი გაიზიარა ტარტუს „უნივერსიტეტმა“.

გთავაზობთ მე-20 ტურის ერთი და 21-ე ტურის ხუთი შეხვედრის შედეგებს. **მე-20 ტური.** „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 51:46 (20:18). **21-ე ტური.** „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 70:65 (35:35), „დინამო“ (კიევი) — ტეტ 45:64 (23:30), „ურალმაში“ — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 61:57 (30:30), „დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 54:50 (29:23).

## მისწერეთ ასე

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო რეცენზია ი. კულეშინსკის წიგნზე — „ფეხბურთის მოყვარულის სიტყვარი“, რომელიც დონის როსტოვში გამოიცა.

საქართველოს სპორტის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს წიგნის მიმართ და მის გამოსაწერად მიმართეს როსტოვის გამომცემლობას. როსტოვიდან მოვიდა წერილი „მოლოტის“ გამომცემლობის დირექტორის ვ. მოლოჟავენკოს ხელმოწერით, სადაც იგი მადლობას უხდის ქართველ ფეხბურთის მოყვარულებს წიგნისადმი ასეთი ინტერესისთვის და გვატყობინებს, რომ წიგნის გამოსაწერად წერილები უნდა გაიგზავნოს ამ მისამართით: **დონის როსტოვი, ტაგანროგის გზატკეცილი № 1. მაღაზია „წიგნი-ფოსტით“.**

## ჩვენი მეგობარი რესპუბლიკებში

### წარმატებას გისურვებთ, ქალიშვილებო!

დუშანბე, 21 მაისი. სპორტის ოსტატი ზ. რახმატულაევა ტაჯიკეთის ქალთა V სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი. მან ოქროს მედალი მიიღო 100 მეტრზე რბენაში, როცა ფინიშთან 12 წამში მივიდა.

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დუშანბეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა რახმატულაევამ ყველა თავის ტაჯიკ თანატოლს სპორტთან დამეგობრება ურჩია. ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრის მოწოდებას რესპუბლიკის ყველა კუთხეში გამოეხმაურნენ ქალიშვილები. V სპარტაკიადის სტარტზე 50 ათასამდე სპორტსმენი გამოვიდა, დასკვნით შეჯიბრებაში კი 800 საუკეთესო ჩაება.

ფინალური თამაშების მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ბობოსადიკოვა, რომელმაც ქალიშვილებს უსურვა ახალი წარმატებები შრომაში, სწავლაში, სპორტში.

გაირკვა პირველი ჩემპიონის ვინაობა ცურვაშიც. სპორტის ოსტატმა თ. კუტუმოვამ მოიგო ფინალური შეჯიბრება „დელფინის“ სტილით.

სპარტაკიადა 25 მაისამდე გასტანს.

## „ლელო“ წერილის კვალდაკვალ

### „მეჭირდება ახალი დარბაზი“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 31 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ ბათუმში არსებული სპორტული ნაგებობანი შეჯიბრებაზე დასწრების მსურველთა მინიმუმსაც ვერ იტევენ და აუცილებელია სადემონსტრაციო დარბაზი.

როგორც რედაქციას აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჭაძემ აცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. აჭარის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხუთდარბაზიანი ბავშვთა სპორტული სკოლის შენობა მშენებლობის გეგმისა და აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1970 წლის სოციალისტური ვალდებულების შესაბამისად, საექსპლოატაციოდ წლეულს გადასცენ.



## ციგებით... მწვანე ფერდობებზე

საციგაო სპორტმა კარგა ხანია საერთაშორისო აღიარება ჰპოვა — ეწყობა ეროვნული, ევროპული და მსოფლიო ჩემპიონატები. სსრ კავშირის ბევრ რესპუბლიკასა და ქალაქში ეს სახეობა უკვე რამდენიმე წელია დაინერგა და წლეულს საკავშირო პირველობაც მოეწყო. საქართველოში კი მოციგავეთა შეჯიბრებებმა ჯერჯერობით მკვიდრად ვერ მოიკიდა ფეხი, თუმცა საკავშირო ტურნირში ჩვენი რამდენიმე მოყვარული სპორტსმენი გამოდიოდა. სპორტულ ციგაობაში ჩვენს რესპუბლიკაში პირველი საჩვენებელი შეჯიბრება წლეულს ბაკურიანში ჩატარდა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საციგაო სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა სათხილამურო სპორტის ვეტერანს ა. ქუმარიტაშვილს დაავალა. ერთი ჯგუფი საკავშირო შეჯიბრების სანახავად მიავლინეს, ხოლო ჩვენი რამდენიმე წარმომადგენელი იყო გდრ-ში, სადაც საციგაო ტრასების მოწყობის წესებს გაეცნო.

ვეტერანს თავი არ დაუზოგავს. ვიდრე რესპუბლიკაში სპეციალურ ციგებს შემოზიდავენ, უქმად ყოფნას შინ დამზადებული ციგებით ვარჯიში ამჯობინა. გაზაფხული რომ დადგა, ქუმარიტაშვილს ახალი საზრუნავი გაუჩნდა: როგორ შეინარჩუნოს მოციგავეთა სპორტული ფორმა, რა იღონოს, რომ სპორტსმენები ზამთრის ახალ სეზონს მზად შეხვდნენ? (მანამდე ალბათ ციგებსაც შემოიტანენ).

ქუმარიტაშვილმა თვითონ დაამზადა ციგა, რომელიც სპორტულისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ გორგოლაჭებიანია, რაც ზაფხულში წვრთნის საშუალებას იძლევა. ამგვარი ციგით ვარჯიში შეიძლება როგორც ასფალტიან გზატკეცილზე, ისე მწვანე ფერდობებზე, ოღონდ დაღმართების შერჩევაა საჭირო.

ამას წინათ გორგოლაჭებიანი ციგა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის მიდამოებში გამოსცადეს. შედეგი ჩინებული გამოდგა: ამ ციგით საათში საშუალოდ 50-55 კმ სისწრაფის განვითარება შეიძლება, ოღონდ, როგორც ქუმარიტაშვილმა განაცხადა, ვირაჟების უქონლობის გამო ჯერჯერობით სპორტსმენებს მოსახვევებში უჭირთ. ასფალტიანი ან ბეტონის სპეციალური ტრასის მოწყობა რომ მოხერხდებოდეს, გორგოლაჭებიანი ციგებით მარტო ვარჯიში კი არა, შეჯიბრების გამართვაც შეიძლებოდა.

საჭიროა რამდენიმე ამგვარი ციგა მაინც დამზადდეს (ეს ძვირი არ დაჯდება) და სპორტსმენები მთელი წლის მანძილზე ვარჯიშობდნენ. მაშინ ალბათ ჩვენები ამ სახეობაშიც თავიანთ სიტყვას იტყვიან.

სურათებზე: ზევით — ა. ქუმარიტაშვილი (მარჯვნიდან მეორე) სპორტსმენთა ერთ ჯგუფს ციგის მოხმარებას ასწავლის; ქვევით — ციგამ გამოცდა ფრიადზე ჩააბარა.

ო. გელაშვილის ტექსტი და ფოტო.



## სტუმრად მოსკოვის უნივერსიტეტში

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტიდან საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მოვიდა დეპეშა. მოსკოველი მეგობრები გვთხოვდნენ გაგვემართა ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში.

პირველად მასპინძლობა ჩვენ გავწიეთ — მოსკოველებს დავათვალიერებინეთ თბილისი, მცხეთა და შემდეგ გავმართეთ ამხანაგური თამაში. უნდა ითქვას, რომ მოსკოვის უნივერსიტეტს ძლიერი გუნდი ჰყავს და დედაქალაქის ჩემპიონიც იყო. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

საპასუხო ვიზიტით მოსკოვში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ზეიმის დროს ჩავედით. საზეიმოდ მორთული უნივერსიტეტის სტადიონზე ტევა არ იყო. საინტერესო მასობრივი საჩვენებელი გამოსვლების შემდეგ ჩვენი მატჩიც გაიმართა. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით. ერთადერთი ბურთი მოსკოველთა კარში გაიტანა პირველკურსელმა ნაჭყებიამ.

გ. ჟირმელაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის მასობრივ სახეობათა ფაკულტეტის დეკანი.

## სსრ კავშირის პირველობა




### გუშინ...

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. მოსკოვის ტორპედოელებმა მიიღეს როსტოვის არმიელთა გუნდი. მოსკოველთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

### უმაღლესი ჯგუფი

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 10 | 6 | 3 | 1 | 18—6 | 15 |
| „დინამო“ (კიევი) | 9 | 6 | 2 | 1 | 10—5 | 14 |
| ცსკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16—4 | 12 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 9 | 5 | 2 | 2 | 14—3 | 12 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 9 | 3 | 6 | 0 | 9—3 | 12 |
| სკა (დონის როსტოვი) | 9 | 4 | 4 | 1 | 8—4 | 12 |
| „არარატი“ (ერევანი) | 9 | 4 | 2 | 3 | 7—6 | 10 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 3 | 4 | 3 | 9—10 | 10 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 2 | 5 | 2 | 12—11 | 9 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 10 | 3 | 3 | 4 | 6—12 | 9 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—7 | 8 |
| „დინამო“ (მინსკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 6—7 | 7 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 10 | 2 | 3 | 5 | 6—9 | 7 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 2 | 2 | 5 | 8—18 | 6 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 9 | 1 | 4 | 4 | 6—12 | 6 |
| „პახთაკორი“ (ტაშკენტი) | 10 | 1 | 4 | 5 | 6—22 | 6 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 9 | 0 | 3 | 6 | 6—18 | 3 |

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 9 | 7 | 2 | 0 | 14—2 | 16 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 9 | 7 | 1 | 1 | 12—1 | 15 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 8 | 5 | 2 | 1 | 13—5 | 12 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 8 | 5 | 2 | 1 | 11—5 | 12 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 9 | 4 | 3 | 2 | 13—7 | 11 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 9 | 4 | 2 | 3 | 8—6 | 10 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 9 | 4 | 2 | 3 | 6—9 | 10 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 8 | 4 | 1 | 3 | 9—6 | 9 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 8 | 2 | 5 | 1 | 8—6 | 9 |
| სკა (ხაბაროვსკი) | 9 | 3 | 3 | 3 | 5—8 | 9 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 9 | 3 | 3 | 3 | 6—9 | 9 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 9 | 1 | 6 | 2 | 6—8 | 8 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 8 | 2 | 4 | 2 | 4—6 | 8 |
| „კაირათი“ (ალმა-ათა) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—8 | 7 |
| სკა (კიევი) | 9 | 3 | 1 | 5 | 10—11 | 7 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 9 | 2 | 3 | 4 | 4—8 | 7 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—6 | 6 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 8 | 2 | 2 | 4 | 6—7 | 6 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—15 | 5 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 9 | 1 | 3 | 5 | 4—15 | 5 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 8 | 1 | 2 | 5 | 8—11 | 4 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 9 | 1 | 1 | 7 | 4—15 | 2 |

### II ჯგუფი

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 9 | 5 | 3 | 1 | 12—4 | 13 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 8 | 5 | 3 | 0 | 10—4 | 13 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 9 | 5 | 3 | 1 | 10—5 | 13 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 9 | 4 | 4 | 1 | 7—2 | 12 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 9 | 4 | 3 | 2 | 15—2 | 11 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 9 | 4 | 3 | 2 | 11—6 | 11 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 9 | 4 | 3 | 2 | 8—8 | 11 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 9 | 4 | 3 | 2 | 7—8 | 11 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 9 | 3 | 4 | 2 | 8—6 | 10 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 9 | 4 | 1 | 4 | 10—6 | 9 |
| „დილა“ (გორი) | 8 | 4 | 1 | 3 | 10—8 | 9 |
| „სალიუტი“ (ბელგოროდი) | 9 | 3 | 3 | 3 | 13—12 | 9 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 9 | 2 | 5 | 2 | 9—9 | 9 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 9 | 3 | 3 | 3 | 8—8 | 9 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 9 | 3 | 2 | 4 | 10—14 | 8 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 8 | 3 | 1 | 4 | 7—9 | 7 |
| „პოლადი“ (სუმგაითი) | 8 | 1 | 4 | 3 | 2—4 | 6 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 8 | 1 | 4 | 3 | 6—10 | 6 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 8 | 1 | 3 | 4 | 8—12 | 5 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 8 | 2 | 1 | 5 | 8—15 | 5 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 9 | 0 | 2 | 7 | 2—19 | 2 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 8 | 0 | 1 | 7 | 2—12 | 1 |

### „ბ“ კლასი

I ქვეჯგუფის II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ეისკი) | 3 | 2 | 1 | 0 | 9—1 | 5 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—0 | 5 |
| „კახეთი“ (თელავი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—2 | 5 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—2 | 5 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—2 | 5 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 3 | 1 | 2 | 0 | 7—4 | 4 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 3 | 1 | 2 | 0 | 4—2 | 4 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 3 | 0 | 3 | 0 | 3—3 | 3 |
| „სპარტაკი“ (სარანსკი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) | 3 | 0 | 3 | 0 | 2—2 | 3 |
| „სპარტაკი“ (რიაზანი) | 3 | 1 | 0 | 2 | 6—6 | 2 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—7 | 2 |
| „სპარტაკი“ (ტამბოვი) | 3 | 0 | 1 | 2 | 3—5 | 1 |
| „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—5 | 1 |
| „სულორი“ (ვანი) | 3 | 0 | 1 | 2 | 1—7 | 1 |
| „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) | 3 | 0 | 0 | 3 | 2—7 | 0 |

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 3:0. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:2. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდების შეხვედრა მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში. პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა (ძაგანია) და ეს ანგარიში ბოლომდე შემორჩა ტაიმს. შემდგომში ზესტაფონელებმა მთლიანი გარდატეხა შეიტანეს თამაშში და კაპანაძის მიერ გატანილი 2 ბურთის მეოხებით გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

● ასკ (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ე. კაკაურიძე (წულუკიძე).

● „სამცხე“ (აწყური) — „ისანი“ (თბილისი) 4:2. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მზიური“ (გალი) 2:0. მსაჯი ა. ისრაელაშვილი (ფოთი).

გათამაშების ლიდერმა — „ლოკომოტივმა“ უკვე მე-5 წუთზე გახსნა ანგარიში ყურულაშვილის ზუსტი დარტყმის შემდეგ. ამას 25-ე წუთზე მოჰყვა მარგველაშვილის მეორე გოლიც. რკინიგზელებს არც შემდგომში შეუნელებიათ იერიშები, თუმცა ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „მშენებელი“ (ბორჯომი) [illegible]. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „ცისკარი“ (სიღნაღი) — „სინათლე“ (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. ხაჩიძე (გორი).

ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. 47-ე წუთზე „სინათლის“ ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, რასაც სიღნაღელმა ტუხაშვილმა მეორე გოლი მიუმატა. მართალია, თბილისელებმა შემდგომში ხელთ აიღეს ინიციატივა, მაგრამ მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს.

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 17 | 10 | 4 | 3 | 37—15 | 24 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 15 | 9 | 4 | 2 | 23—9 | 22 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 15 | 9 | 4 | 2 | 28—14 | 22 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 15 | 8 | 4 | 3 | 22—12 | 20 |
| „ისანი“ (თბილისი) | 16 | 6 | 8 | 2 | 19—14 | 20 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 16 | 8 | 4 | 4 | 21—18 | 20 |
| „სამცხე“ (აწყური) | 17 | 5 | 10 | 2 | 16—14 | 20 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 14 | 6 | 6 | 2 | 21—13 | 18 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 15 | 7 | 4 | 4 | 21—15 | 18 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 15 | 4 | 8 | 3 | 17—15 | 16 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 15 | 4 | 7 | 4 | 15—14 | 15 |
| „მზიური“ (გალი) | 16 | 3 | 9 | 4 | 16—17 | 15 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 16 | 4 | 7 | 5 | 16—19 | 15 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 15 | 3 | 7 | 5 | 9—11 | 13 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 16 | 1 | 10 | 5 | 11—26 | 12 |
| ასკ (თბილისი) | 14 | 4 | 3 | 7 | 18—16 | 11 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 15 | 3 | 5 | 7 | 12—20 | 11 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 15 | 2 | 7 | 6 | 9—22 | 11 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 15 | 2 | 6 | 7 | 14—18 | 10 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 14 | 3 | 4 | 7 | 9—17 | 10 |
| „მადაროელი“ (ჭიათურა) | 15 | 1 | 6 | 8 | 10—21 | 8 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 15 | 1 | 3 | 11 | 11—33 | 5 |




## პასუხს გასცემენ მატჩები...

ბოლო წლების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის IV ჯგუფში ფავორიტად უნდა ჩაითვალოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი, რომელმაც, როგორც ცნობილია, 1954 წელს შვეიცარიაში მოულოდნელად ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება უნგრეთის ძლიერ ნაკრებს (3:2) და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 4 წლის შემდეგ შვეციაში იგი ნახევარფინალში გავიდა. ჩილიში დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელები მეოთხედფინალში მოხვდნენ და, ბოლოს, 1966 წელს „უემბლის“ სტადიონზე ფინალური მატჩი წააგეს ინგლისელებთან — 2:4. ბულგარეთის ნაკრები მონაწილეობდა წინა ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში, მაგრამ მეოთხედფინალისტთა რიცხვში მოხვედრა ვერ შეძლო. პერუს გუნდი 1930 წლის I მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა, ხოლო მაროკოს ნაკრები საერთოდ ფინალურ შეჯიბრებათა დებიუტანტია.

მაგრამ სტატისტიკა მუდამ როდი განსაზღვრავს შეჯიბრების შედეგს. მაგალითად, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა — გფრ-ის ფეხბურთელებმა შესარჩევ თამაშებში დიდი გაჭირვებით მოიპოვეს მექსიკის საგზური. ქვიპროსზე გფრ-ის გუნდის ფორვარდმა მიულერმა ერთადერთი ბურთის გატანა შეძლო... 92-ე წუთზე (მატჩი ხშირად წყდებოდა და არბიტრებმა 2 წუთი დაუმატეს). მაყურებლებით გაჭედილი სტადიონი ნიურნბერგში უკვე შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ შესარჩევი მატჩი ავსტრიასთან ნულიანი ანგარიშით მთავრდებოდა, როცა იმავე მიულერმა ფინალურ სასტვენამდე 2 წუთით ადრე გაიტანა ბურთი. შემდეგ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები ავსტრიელებმა გადაარჩინეს: 1968 წლის 6 ნოემბერს გლაზგოში მათ ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ დაამარცხეს ფინალში გასვლის პრეტენდენტები — შოტლანდიელები (2:1).

მას შემდეგ, რაც მექსიკის საგზური გაინაღდეს, გფრ-ის გუნდის მწვრთნელი, 54 წლის ჰ. შიონი ოჯახის გალმა გაემგზავრა, რათა დაწვრილებით გასცნობოდა მექსიკის პირობებს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა ხელმძღვანელმა ამას წინათ მოკრძალებულად ილაპარაკა თავისი გუნდის შანსებზე და თქვა, რომ მაღალმთიანეთის პირობები მნიშვნელოვნად გაათანაბრებს ძალთა შეფარდებას ჯგუფში. „აქ მაღალი სისწრაფით ვერ ითამაშებ“, — თქვა მან, მაგრამ დაუმატა: „მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა წოდება გვავალდებულებს ღირსეულად გამოვიდეთ მექსიკის სტადიონებზე“.

„ჩვენს ფეხბურთს ახლა განსაკუთრებით ბევრი ნიჭიერი მოთამაშე ჰყავს,“ — აი, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელის ს. ბოჟკოვის სიტყვები. „ამას წინათ, — თქვა მან, — მე შევიტყვე, რომ გფრ-ის ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ფ. ბეკენბაუერმა თავის პროგნოზში IV ჯგუფში ჩვენ პირველ ადგილზე დაგვაყენა, ხოლო თავისი კოლეგები — მეორეზე... ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, პროგნოზების ახლანდელ ნაკადში ბევრი რამ შენიღბულია და ბევრიც ფსიქოლოგიური ეფექტისთვისაა გამიზნული“.

„პერუში ჩვენ დიდხანს არ ვაწვდით ბურთს პარტნიორებს. ევროპელები კი უკვლელად ცდილობენ ააგონ თამაში ისე, რომ ბურთი უფრო სწრაფად მოძრაობდეს მინდორზე, ვიდრე ფეხბურთელები“, — ეს თქვა პერუს ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მოთამაშემ ა. გალიარდომ მას შემდეგ, რაც პერუელებმა შესარჩევ თამაშებში გაუსწრეს არგენტინისა და ბოლივიის გუნდებს და მეორედ მოხვდნენ ფინალისტთა შორის. მან დაუმატა: „ჩვენ უნდა შევცვალოთ თამაშის სტილი, რათა დავამარცხოთ ევროპელები.“

პერუელები თავიანთ დიდ წინსვლას საერთაშორისო სარბიელზე უნდა უმადლოდნენ ვალდირ პერეირას, რომელსაც საფეხბურთო სამყარო დიდის უწოდებს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა — ბრაზილიელთა კაპიტანმა, რომელიც პელეს მხარდამხარ თამაშობდა, ჩილიში თავისი გუნდის გამარჯვების შემდეგ მწვრთნელად მუშაობა დაიწყო. 2 წლის წინ მან ჩაიბარა პერუს ნაკრები და შედეგებმაც არ დააყოვნა. დიდი თავიდანვე შეეცადა შთაენერგა თავისი ფეხბურთელებისთვის თამაშის შემტევი, კოლექტიური ხასიათი. ახლა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იმას ფიქრობს, რომ მისმა ფეხბურთელებმა ისევე ითამაშონ, როგორც ბრაზილიელები თამაშობენ. „მეოთხე ჯგუფის შემადგენლობა, — თქვა დიდიმ, — ძალიან თანაბარია. მიაჩნიათ, რომ ჩვენ გაგვიმართლა. მეოთხედფინალში პერუს ნაკრები აუცილებლად გავა, თუმცა, ორ ვაკანტურ ადგილზე თანაბარი პრეტენზიები აქვთ სხვა გუნდებსაც — ბულგარეთს, მაროკოს და გფრ-ს“.

ახლანდელი ფინალისტების რიცხვიდან დასწრებულ დავაში ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ ბულგარეთისა და მაროკოს ფეხბურთელები, თუმცა არც ვარაუდობდნენ, რომ კენჭისყრის ძალით ერთ ჯგუფში მოხვდებოდნენ. ეს იყო შარშან, დეკემბერში, კასაბლანკაში. მაროკოელებმა მოულოდნელად გაიმარჯვეს (3:0), რითაც ყველას აგრძნობინეს, რომ ფინალის დებიუტანტები — აფრიკელები არ აპირებენ მეტოქეებს ქულები აჩუქონ.

„მაროკოს ნაკრების ტაქტიკური იდეები საიდუმლოებით მოცული უნდა დარჩეს. თამაშის ამგვარი მანერის დეტალების გახსნა ივივე იქნებოდა, რომ პრეს-კონფერენციაზე მოგვეწყო ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეებისთვის“ — თქვა გუნდის ახალმა მწვრთნელმა ვიდინიჩმა, წარსულში იუგოსლავიის ნაკრების მეკარემ. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და მაროკოს ნაკრები გაანადგურა ფრანგულმა გუნდმა „სენტ-ეტიენმა“. ამ წაგებამ (1:5) კრიტიკის ნიაღვარი გამოიწვია ნაკრების მიმართ. ამბობდნენ, ეროვნულ ფეხბურთში რადიკალური ცვლილებები უნდა მოხდესო. ეტყობა, მაროკოს გუნდს ჯერ მაინც არა აქვს საკმარისი გამოცდილება საიმისოდ, რომ პრეტენზიები განაცხადოს ჩემპიონატის საპრიზო ადგილზე. მაგრამ სენსაციის მოხდენა მას მაინც შეუძლია.

ერთი სიტყვით, იმაზე, რაც მოხდება მექსიკის ქალაქ ლეონში, სადაც თამაშობენ IV ჯგუფის მონაწილენი, პასუხს გასცემენ თვით ჩემპიონატის მატჩები.

ა. კაჩალოვი.
(ნაკდუხის კორ.).

# ავტომობილისტებს — ფეხბურთის ბილეთები

ბალი, 22 მაისი. კოლუმბიის ამ ქალაქში დამთავრდა ლონდონ—მეხიკოს მარათონული ავტორალის სამხრეთამერიკული ეტაპი. აქ სულ 26 ავტომანქანა ჩამოვიდა. მათ შორისაა 3 საბჭოთა „მოსკვიჩი" — ლ. პოტაპჩიკის, გ. ხოლმისა და ს. ტენიშევის ეკიპაჟები. ბუენავენტურაში მანქანებს იტალიის ხომალდზე აიტანენ და პანამის გზას გაუყენებენ. იქიდან ავტომობილისტები კვირას ტრანსამერიკულ ავტოსტრადაზე გავლენ და მეხიკოსკენ აიღებენ გეზს, სადაც 27 მაისს „აცტეკის" სტადიონზე დაამთავრებენ ასპარეზობას.

ყველა ეკიპაჟი, რომელიც აქ ჩამოვიდა, უკვე ფინიშთან მისულად ითვლება. ისინი მიიღებენ სათანადო მოწმობებს და... ბილეთებს ფეხბურთელთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო მატჩებზე დასასწრებად.

სამხრეთ ამერიკის მთიანი გზების ათასობით კილომეტრმა მრბოლელებისგან ძალის დიდი დაძაბვა მოითხოვა. დიდი ჯაფა დაადგათ მანქანებსაც. ცნობილმა პოლონელმა ოსტატმა ზასადამ კორესპონდენტებს უთხრა: „ჩვენ ყველანი ძალიან დავიღალეთ, მაგრამ ჩვენზე მეტად მანქანები „დაიქანცნენ". ახლა სულ პატარა დაზიანებაც კი საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ეკიპაჟისთვის".

ე. ლივშიცი და ვ. შჩაველევი, რომლებმაც კალის მახლობლად საკონტროლო პუნქტში დააგვიანეს, ახლა გზას აგრძელებენ, როგორც ტექნიკური დახმარების ეკიპაჟის წევრები. ი. ასტაფიევი დაშავდა იმ მომენტში, როცა მისი მანქანა ტრასას გადასცდა. იგი ჯერჯერობით ლა პასში დარჩა, ხოლო მისი ორი პარტნიორი „მოსკვიჩებს" ტექნიკური დახმარების მანქანებით მიჰყვება.

საქმეთა მოგვითხრობს

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# ფავორიტთა შეხვედრა




მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს მაღალი ტიტულის მთავარ პრეტენდენტებად სხვებთან ერთად თბილისის ქალთა VI საერთაშორისო ტურნირის სამი მონაწილე—სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, მოსკოველი ე. რუბცოვა და რუმინელი ა. ნიკოლაუ მიაჩნია. ამიტომ მიმომხილველები სწორედ ამ მოჭადრაკეებს უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას. ცხადია, ყველაზე მეტ ინტერესს რჩეულთა შეხვედრები იწვევს.

რა გასაკვირია. რომ გუშინწინ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში დიდძალი მაყურებელი შეიკრიბა. მოვიდა ჭადრაკის დედოფალიც (გუშინ იგი მოსკოვს გაფრინდა კომკავშირის XVI ყრილობაზე). ამ დღეს, II ტურში, ერთმანეთს შეხვდნენ ალექსანდრია და რუბცოვა.

ეს უაღრესად ნიჭიერი, მზარდი მოჭადრაკეები ჭეშმარიტი რაინდებივით თამაშობენ: გამომწვევად, უშეღავათოდ, უკიდურესობამდე დაძაბულად და მიზანსწრაფვით. ამჯერადაც ასე იყო.

ალექსანდრია



რუბცოვა

ეს კრიტიკული პოზიცია შეიქმნა მოსკოველი მოჭადრაკის მე-20 სვლის შემდეგ. როგორც ხედავთ, მთავარი დაძაბულობა ლაზიერის ფრთაზეა. თეთრებს უფრო პერსპექტიული პოზიცია აქვთ. ალექსანდრიამ აქ ბევრი იფიქრა და... შეცდა: მეტოქის შენიღბული კომბინაცია გამორჩა და უპაიკოდ დარჩა.

20. ... b5? 21. მb4 ლc8 22. მ:d5 ed 23. ლ:a5 კh4

დანაკარგმა თითქოს ძალა შემატა ნანას. იგი თავგანწირულად ესხმის თავს თეთრ მეფეს.

24. ეf1 ეe7 25. მf3 კf6 26. ლ:b5 g5 27. c6

რუბცოვა ცდილობს აქეთკენ მიიქციოს მეტოქის ყურადღება, მაგრამ ალექსანდრია არ ტყუვდება.

27. ... ეd8 28. ეc2 h5 29. მe5 g4 30. hg hg 31. კa3 ე:e5!

შესანიშნავია. საიერიშოდ ხაზები იხსნება. სხვათა შორის, ამ დროს მეტოქეებს. უფრო კი ნანას, ცაიტნოტის საფრთხე აწუხებდათ. შეიძლება ამიტომაც ვერ აგნებდნენ მუდამ სწორ სვლებს, მაგრამ ეს როდი აკლებდა ინტერესს მათს ბრძოლას.

32. de კ:e5 33. c7

მოსკოველი მოჭადრაკე ხედავს, რომ ალექსანდრიას იერიში სადაცაა წალეკავს მის პოზიციას. ამიტომ იგი მსხვერპლის გაღებით ცდილობს შებოჭოს მისი ფიგურები.

33. ... კ:c7 34. ლe2 (34. ე:c1 ლf5!) g3 35. ე:c7 ლ:c7 36. ლg4+ მფh7 37. fg f6?

გულდასაწყვეტი, საცაიტნოტო შეცდომა. დარჩენილ წამებში თბილისელი ოსტატი ვერ ხედავს, რომ 37. ... ლb6+ 38. მფh2 ლh6+ 39. ლh3 შემდეგ მას ყაიმის რეალური შანსი აქვს. ყაიმი პარტიის ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ, როგორც თავად ნანამ თქვა, მას თეთრების 38-ე სვლა მხედველობიდან გამორჩა.

38. ეf5 მg5 39. ე:f6 ლg7 40. ლf5+ მფh8 41. კb2.

შავები დანებდნენ.

ამ ამაღელვებელმა პარტიამ დანარჩენი შეხვედრები დაჩრდილა, თუმცა სხვებიც საინტერესოდ თამაშობდნენ. სხვათა შორის, სხვა პარტიებიდან მხოლოდ ორი დამთავრდა: ო. ანდრეევამ (სსრ კავშირი) მოუგო პოლონეთის ჩემპიონს ქ. რაძიკოვსკას, ხოლო ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) — მ. მერლინს (იუგოსლავია).

— ვერაფერი გავუგე მილინკას: ფიგურა რომ წააგო, თამაშს მაინც განაგრძობდა, სანამ ეტლიც არ დაკარგა, — უთხრა ნიკოლაუმ მსოფლიო ჩემპიონს.

— ალბათ გცდიდა: სურდა გაეგო, მართლა ისეთი ძლიერი ხარ როგორც პრესაში წერენ, თუ არა, — იხუმრა ნონამ.

სხვა პარტიები გადაიდო. თ. ხუგაშვილსა და ო. რუბცოვას (მოსკოვი) ზედმეტი ხარისხი აქვთ შესაბამისად თბილისის ჩემპიონთან ლ. კოროშინაძესთან და ნ. ჩიქობავასთან, ოღონდ ხუგაშვილს მოგების მეტი შანსი აქვს. ც. კობაიძეს ბულგარეთის ჩემპიონთან ა. გეორგიევასთან ენდშპილში პაიკი აკლია. რთულ პოზიციაში შეწყდა ე. კაკაბაძე — ც. კახაბრიშვილის შეხვედრა.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდა ე. რუბცოვა — 2 ქულა. ა. ნიკოლაუს, ე. კაკაბაძესა და ო. ანდრეევას — თითო ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

თ. გიორგაძე.



# ეპიგონები

ვინ იფიქრებდა, რომ ჯეიმს ნეისმიტის გამოგონებას, რომელსაც სპრინგფილდის კოლეჯში (აშშ, მასაჩუსეტსის შტატი) კალათბურთი შეარქვეს, ამდენი ეპიგონი ეყოლებოდა. ნეისმიტი ანატომიის მასწავლებელი იყო, სიზუსტის მოყვარული, და ამიტომაც თავისი გამოგონების არსი მკაცრ ლოგიკურ ფორმებში ჩამოაყალიბა.

თანამედროვე ნეისმიტებმა საუკუნის საკადრის გამოგონებებში, რომლებსაც რატომღაც მაინც კალათბურთი ჰქვია, უცვლელი დატოვეს მხოლოდ ბურთისა და კალათის დამოკიდებულება. სპორტსმენები კი... ჯორებზე ამხედრებულმა ღლაბუცებმა შეცვალეს.

ახალი თამაში დიდი პოპულარობით სარგებლობს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. სტუდენტები გულმხურვალედ განიცდიან დაძაბული სპორტული ბრძოლის პერიპეტიებს და ხშირად ერევიან კიდეც თამაშში, რათა როგორმე იმოქმედონ გაჯიუტებულ ცხოველებზე.

შეერთებულ შტატებში უკვე რამდენიმე ათეული გუნდი თამაშობს ამ ულტრათანამედროვე კალათბურთს. ახალ სპორტს ჰყავს თავისი ფავორიტები, ახალბედები, გულშემატკივრები. ორგანიზატორებს განზრახული აქვთ თამაში უცხოელებსაც გააცნონ და, თუ მან მოწონება დაიმსახურა, საერთაშორისო ტურნირების ორგანიზაციაზეც იზრუნონ.

* * *

სურათებზე: ზევით — სახიფათო გარღვევა მეტოქის ფარ-ქვეშ; ქვევით — შეტევაზე გადასული მხედრის „ბედაურს" აზარტში შესული გულშემატკივარი კალათისკენ გზას უჩვენებს.




# „შავი ბომბარდირის" შავი დღეები

სახელგანთქმული „შავი ბომბარდირი", 1937-1949 წლების მსოფლიო ჩემპიონი მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ლუისი ამერიკის ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ყოფილი მოკრივის ვაჟმა, 24 წლის ჯ. ბაროუმ თქვა: „მამაჩემს არასოდეს მიუმართავს ექიმებისთვის, ახლა კი მკურნალობა უსათუოდ სჭირდება. იგი ხშირად კარგავს საღი აზროვნების უნარს, თუმცა დროდადრო თავს სავსებით ნორმალურად გრძნობს და შეუძლია ყველა თემაზე ილაპარაკოს. ექიმებს მიაჩნიათ, რომ 56 წლის ჯო ლუისი საავადმყოფოში 6 თვეს მაინც დაჰყოფს. რაც შეეხება ზუსტ დიაგნოზს, იგი მხოლოდ გულდასმით გამოკვლევის შემდეგ შეიძლება დაისვას.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




დ ღ ე ს
საერთაშორისო შეხვედრა
„დინამო" (თბილისი) — „პალმეირასი" (სან-პაულუ)

● ●

ხ ვ ა ლ
სსრ კავშირის პირველობა
I ჯგუფი
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი)
მატჩების დასაწყისი 19 ს.

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**ფეხბურთი. დღეს:** საქართველოს პირველობა. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია). დასაწყისი 11 ს. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 16 ს.

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი. **ქალთა VI საერთაშორისო ტურნირი. დღეს:** გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. **16-17 წლის მძლეოსანთა რესპუბლიკური პირადი პირველობა.** დასაწყისი: 24 მაისს — 10 ს., 25 მაისს — 11 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** „შრომითი რეზერვების" დარბაზი. **დღეს: თბილისის იუნიორთა პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 11 ს.

**100-უჯრიანი შაში.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. **24-31 მაისი. თბილისის პირველობის ნახევარფინალი.** დასაწყისი 16 ს.

**ცხენოსნობა.** იპოდრომი. **დღეს: თბილისის ჭაბუკთა პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

**მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზი. **24-25 მაისი. რესპუბლიკური უნივერსიადის პროგრამით.** დასაწყისი 16 ს.

**სპიდვეი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. **26 მაისი. საკლუბო გუნდების საკავშირო პირველობა. „თბილისი" — „კარპატი" (ლვოვი).** დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ● უე 03957